# როგორ ეხმარება პრეპარატი „კამელინი“ სიმსივნით დაავადებულებს




**„კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ ჩვენს მკითხველს არაერთი ინფორმაცია მივაწოდეთ. ქართული პრეპარატი „კამელინი“ მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, მათ შორის — სიმსივნური პათოლოგიების დროს მისი გამოყენება ძალზე ეფექტურია. „კამელინი“ 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას. პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია როგორც კომპლექსური თერაპიის დროს, ასევე დამოუკიდებლად.**

კობა გურიელიძე, *კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი:*

— ადრეული კვლევები, რომლის საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა და მათ შორის უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფებისთვის „კამელინს“ საგრძნობლად გაუუმჯობესებია სიცოცხლის ხარისხი, ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სრულ გამოჯანმრთელებასაც. დღესდღეობით იწარმოება კამელინის 5 ფორმა: „კამელინი მ 1“ საინიექციო ფორმა, „კამელინ მ 2“ კაფსულები, „კამელინ მ 3“ მალამო, „კამელინ მ 4“ რექტალურ-ვაგინალური სანთლები და „კამელინ ფლუ“ — სპრეი ყელისა და პირის ღრუს ინფექციების სამკურნალოდ.

ზარემა იზმაილოვა, *ყირგიზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის, რადიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი:*

— უკანასკნელ წლებში, ყირგიზეთში საგრძნობლად იმატა სიმსივნურმა დაავადებებმა, განსაკუთრებით კი ქალბატონებში. სტატისტიკური მონაცემებით, პირველ ადგილზეა საშვილოსნოს ყელის სიმსივნე. საერთაშორისო სიმპოზიუმზე საქართველოდან, ონკოლოგ ალექსანდრე ცალუღელაშვილისგან შევიტყვე ქართული პრეპარატის — „კამელინის“ შესახებ, დავინტერესდი და გავეცანი პრეპარატის ავტორის, ბენედიქტე (ძაგული) მაღლაკელიძის ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევებს. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ჩემს ერთ-ერთ პაციენტს, რომელსაც პაპილომავირუსის გამო 15 წელი არ ჰყავდა შვილი (მკურნალობის ყველა აპრობირებული მეთოდის მიუხედავად, შედეგს ვერ მივაღწიეთ), შევთავაზე „კამელინის“ სანთლებისა და ამპულების ერთდროულად გამოყენება. რა თქმა უნდა, ქირურგიულ ჩარევას „კამელინით“ მკურნალობა ამჯობინეს. ზედიზედ ჩაიტარეს მკურნალობის 4 კურსი. ყოველი 20 დღის შემდეგ ხორციელდებოდა შემოწმება, როგორც ექოსკოპიურად, ასევე ანალიზებით, შედეგები დინამიკაში იმედისმომცემი იყო, ამიტომაც ვაგრძელებდით მკურნალობას. მიღწეული შედეგით განცვიფრებული დავრჩი და დავიწყე პრეპარატ „კამელინის“ გამოყენება სხვა პაციენტებზეც, შემდეგ კი დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მომეხერხებინა „კამელინის“ შემოტანა ჩვენს ქვეყანაში, რადგან ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყირგიზეთის მოქალაქეებისთვის. პირადად ჩავედი საქართველოში, შევხვდი კომპანია „კამელინის“ წარმომადგენლებს, კვლევაში ჩართულ მეცნიერთა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა ჯგუფს. მათი მეშვეობით უფრო ღრმად გავეცანი კვლევების შედეგებს და გამოითქვა თანამშრომლობის სურვილი. მოკლე დროში „კამელინის“ 5 ფორმა დარეგისტრირდა ყირგიზეთში. დღეს უკვე ჩვენს ქვეყანაში მრავალი ონკოპაციენტი მოიხმარს „კამელინს“ და შედეგებიც გასაოცარია. მინდა ვთქვა, რომ „კამელინის“ გამოყენება პროფილაქტიკური მიზნით წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მიზანშეწონილია, რათა თავიდან ავიცილოთ სიმსივნური დაავადებების რისკი.

დღითი დღე იზრდება მადლიერ პაციენტთა რაოდენობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ სხვადასხვა ქვეყნიდან პაციენტთა მადლობის წერილებს, დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციებსა და დიაგნოსტიკური კვლევების შედეგებს იღებს. ახლახან კომპანიამ ქუთაისიდან მიიღო ქალბატონ მერი გაბრიჩიძის წერილი, რომელიც პრეპარატ „კამელინის“ ავტორს და მის შთამომავლობას უდიდეს მადლობას უხდის გადარჩენისთვის. 20 წლის წინ ქალბატონ მერის საშვილოსნოს სიმსივნის გამო გაუკეთდა საშვილოსნოს ექსტრიპაცია. ქირურგიული ჩარევის მიუხედავად, მისი მდგომარეობა სრულიად უიმედო იყო. ქუთაისის ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმის, ბატონი ოთარ მეტრეველის რჩევით, პაციენტს „კამელინის“ ინიექციების გაკეთება დაუწყეს. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ (მკურნალობის ერთი კურსი) პაციენტის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და საიმედო გახდა. მკურნალობით გათვალისწინებული 8-დღიანი შესვენების მერე კვლავ გაიმეორა შემდეგი კურსი. დღეს ქალბატონი მერი სრულიად ჯანმრთელია. ჰყავს 3 შვილი, 7 შვილიშვილი, 8 შვილთაშვილი, რომლებთანაც დროს აქტიურად და ენერგიულად ატარებს. წელიწადში ერთხელ, პროფილაქტიკური მიზნით იტარებს „კამელინით“ მკურნალობის 20-დღიან კურსს.

*P.S. ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ 1“ ინიექცია, „კამელინ მ 2“ კაფსულა, „კამელინ მ 3“ მალამო, „კამელინ მ 4“ სანთლები და „კამელინ ფლუ“ სპრეი გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, უროლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.*

***მოამზადა მაია ცომაიამ*** R

**„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ ნომრებზე: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;**
www.camelyn.ge; ფოსტა: info@camelyn.ge